გაკვეთილის გეგმის

მასწავლებლის სახელი , გვარი : ლალი ხუციშვილი

პირადი ნომერი : 01001052722

საგანი : ქართული ენა და ლიტერატურა

სწავლებლის საფეხური /კლასი : დაწყებითი, V კლასი

მოსწავლეთა რაოდენობა : 27

გაკვეთილის თემა : აკაკი წერეთელი – „ჩემი თავგადასავალი“ (II თავი)

გაკვეთილის მიზანი : მოსწავლემ შეძლოს:

- **სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა და გაგება – გააზრება, ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა;**
- **მოსწავლე წარმოაჩენს ნაწარმოების პერსონაჟს სხვადასხვა კუთხით (მიუთითებს მის როგორც დადებით, ისე უარყოფით თვისებებს)**
- **გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას საინფორმაციო ტექსტებში გადმოცემული ფაქტების მიმართ**
- **გამოაქვს დასკვნა ტექსტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე.**
- **წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება, ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულებების გამოტანა და ახსნა, კითხვით გამოწვეული განწყობისა და შთაბეჭდილებების გადმოცემა.**

გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან :

დაწყებით საფეხურზე ესგ-ში აუცილებელი შესასწავლი ნაწარმოებებისა და V კლასის სახელმძღვანელოში მოცემული პროგრამის (სახელმძღვანელო აგებულია ქრონოლოგიური პრინციპით; სახელმძღვანელოს ვ.როდონაია, ნ.ნაკუდაშვილი, მ.ხუციშვილი, ა.არაბული) შეჯერებით ლიტერატურული ნაწარმოებები ასახული და გაწერილია საგაკვეთილო თემებად ჩემს კალენდარულ გეგმაში. გარე დაკვირვების პერიოდი მოიცავს 05.11 – 11.11. ჩემი კალენდარული გეგმის მიხედვით, განისაზღვრა გაკვეთილის ჩატარების თემა.

გაკვეთილის მიზნები ითვალისწინებს ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტის მიხედვით წლის ბოლოს მისაღწევ შედეგებს, რომლებიც დეტალურადაა გაწერილი ინდიკატორებში. მაგალითად, ამ გაკვეთილზე ჩემი მიზანია, მოსწავლემ შეძლოს ტექსტის წაკითხვა, მოსმენა, გაგება – გააზრება, ტექსტზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა, რომლებიც მოცემულია ესგ-ს წლის ბოლოს მისაღწევ შედეგებში. (რაც ითვალისწინებს კრიტიკული აზროვნებისა და მსჯელობის უნარის განვითარებას). **ქართ. დაწყ. (II)2, ქართ. დაწყ. (II)7.**

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეები კლასში არ არიან.

N	**აქტივობის მიზანი და აღწერა**	**გამოყენებული მეთოდი / მეთოდები**	**კლასის ორგანიზების ფორმა / ფორმები**	**სასწავლო რესურსები**	**დრო 30 წთ**
1	მოსწავლეები გაეცნობიან წინასწარ გაკვეთილის მიზანს, აქტივობებს, აქტივობების დროს კლასის ორგანიზებისა და შეფასების ფორმას. ასეთი ტიპის ინფორმაცია ხელს შეუწყობს საგაკვეთილო პროცესისათვის მზაობასა და ჩართულობის ხარისხს.	მინილექცია	**ინდივიდუალური**	**კომპიუტერი, პროექტორი**	**2 წთ**
2	საშინაო დავალების პრეზენტაცია. მოსწავლეები მომზადებულ დავალებას წაიკითხავენ კლასის წინაშე. ყურადღებით მოვუსმენთ მათ ჩანაწერებს (ვარაუდებს) – „როგორი მშობლები ეყოლებოდა აკაკის?“ ტექსტის გაცნობის შემდეგ შევადარებთ მათ ჩანაწერს (ეს აქტივობა ახალი მასალისთვის ამზადებს მოსწავლეებს)	კითხვის პრეზენტაციის მეთოდი	ინდივიდუალური	**რვეული წიგნი**	**5 წთ**
3	წინარე ცოდნის ხარისხის შესამოწმებლად, მოსწავლეები ავსებენ T დიაგრამას – „როგორი იყო აკაკი სოფელში და სასახლეში?“ ეს აქტივობა ხელს შეუწყობს მოსწავლეებში მსჯელობის, კრიტიკული აზროვნების, ინფორმაციის მიღების და გაზიარების უნარ-ჩვევებს.	კითხვა – პასუხის მეთოდი	**მთელი კლასი ინდივიდუალური**	**სახელმძღვანელო დაფა ცარცი ფორმატი მარკერი**	**4 წთ**
4	აქტივობა – დიალოგი პერსონაჟთან „პერსონაჟის სკამი“ მოსწავლეები ერთ-ერთ მოსწავლეს „აკაკის“ უსვამენ კითხვებს ნაწარმოებიდან, აქტივობა ნათლად წარმოაჩენს ტექსტის ცოდნას, გაგებას, გამოკვეთს რამდენად შეუძლიათ მოსწავლეებს ამოიცნონ მთავარი სათქმელი. შესაბამისად – სავარაუდო პასუხებიდანაც. ეს აქტივობა ხელს შეუწყობს მოსწავლეებში წაკითხულის სწორად გააზრების უნარ-ჩვევების განვითარებას და დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანას.	**კითხვა – პასუხის მეთოდი მსჯელობის მეთოდი**	**მთელი კლასი ინდივიდუალური**		**5 წთ**

5	ამის შემდეგ მასწავლებელი იწყებს ტექსტის კითხვას პაუზებით, კომენტარებით, კითხვებით. შემდეგ მოსწავლეები გააგრძელებენ ასევე პაუზებით, კომენტარებით და კითხვებით. ბოლოს კი მოსწავლეების მიერ გამოთქმულ ვარაუდებს ვადარებთ ტექსტს, თუ როგორები ყოფილან აკაკის მშობლები. ეს აქტივობა მოსწავლეებს ყურადღებას ამახვილებინებს დეტალებზე და გამოაქვთ დასკვნები მოცემული ინფორმაციის საფუძველზე. ადარებენ თუ რამდენად გამართლდა მათი მოლოდინები.	**კომენტირებული კითხვის მეთოდი აქტიური კითხვის მეთოდი**	**ინდივიდუალური მთელი კლასი**		**10 წთ**
6	გაკვეთილის შეჯამება: მასწავლებელი მოსწავლეებს შეეკითხება – თუ რა გაუჭირდათ საგაკვეთილო პროცესის დროს? რომელი აქტივობა იყო უფრო საინტერესო და რას ისურვებდნენ მომავალში? აქტივობა ამოწმებს მსჯელობის და აზროვნების უნარს	**კითხვა – პასუხის მეთოდი**	**მთელი კლასი ინდივიდუალური**	**დაფა ცარცი**	**3 წთ**
7	საშინაო დავალება: წერილი მისწერეთ აკაკის (გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება მის მიმართ, რა მოგწონთ? რა არ მოგწონთ? რა გაინტერესებთ? რა იქნებოდა უკეთესი?...)				**1 წთ**

–

შეფასება – განმავითარებელი

(თვითშეფასება და ურთიერთშეფასება)

შეფასების საგანი და პროცედურები – მოსწავლის წარმატებას (კარგი, საშუალო, დამაკმაყოფილებელი) ვადგენთ იმის მიხედვით, როგორ ახერხებს:

- **წინარე ცოდნის გამომჟღავნებას**
- **ცოდნის გამოყენებას**
- **აქტივობებში მონაწილეობას**
- **კითხვის უნარების წარმოჩენას**
- **პრეზენტაციის უნარის ჩვენებას**
- **საგაკვეთილო პროცესში აქტიურ მონაწილეობას**

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები :

ქართ. დაწყ. (II).2 მოსწავლეს შეუძლია სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება, გააზრება, ტექსტებზე მსჯელობა და დასკვნის გამოტანა.

- o გამოაქვს დასკვნა ტექსტში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე.
  - ყურადღებას ამახვილებს დეტალებზე (პერსონაჟის დახასიათებისას).

ქართ. დაწყ. (II).7 მოსწავლეს უკვე შეუძლია წაკითხული ტექსტების ინტერპრეტირება, დასაბუთებული დასკვნის გამოტანა და შეფასება, ტექსტების მიმართ პირადი დამოკიდებულებების გამოტანა და ახსნა, კითხვით გამოწვეული განწყობისა და შთაბეჭდილებების გადმოცემა.

- **განმარტავს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და აფასებს მათს საქციელს**
- **გამოაქვს დასკვნა პერსონაჟებს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ, ცდილობს ნათქვამის დასაბუთებას ტექსტის მონაცემებზე დაყრდნობით.**

თარიღი: **10.11.2020**

ხელმოწერა: **ლ.ხუციშვილი**